



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

11 თებერვალი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 12

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი – სურათების გალერეა“-სთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ და „პ.გ“ ქვეპუნქტების, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19⁵ (პრიმა) მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაკმაყოფილდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი – სურათების გალერეა“-ს დირექტორის მოთხოვნა (რომელმაც მოითხოვა სარგებლობის უფლებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ოზურგეთის შ. რუსთაველის ქუჩა №6 მდებარე 469კვმ. არასაცხოვრებელი ფართი, სარეგისტრაციო ზონა 26, სექტორი 26, კვარტალი №01, ნაკვეთი №071, კოდი №01/503, განაცხადის რეგისტრაციის №882011029247, მომზადების თარიღი 26/01/2011) და გადაეცეს სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტით აუქციონის გარეშე პირდაპირი განკარგვის წესით, „ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი – სურათების გალერეა“-ს ფუნქციონირებისათვის.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

აღეკო მამეშვილი